№ 197
1877

ივერია

№ 197
1903

სექტემბერი 16, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისი
წიგნთ-საცავი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია" აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიის **ბლალოჩინი მღვდელი, გიორგი ელიაშვილი შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის მეუღლის

ნატალია სვიმონის ასულისას

და სთხოვს დაესწრნენ განსვენებულის პანაშვიდსა და დაკრძალვაზე 16 სეკდემბერს გორის მაზრის სოფ. ბრეთის საზოგადო სასაფლაოზედ.
(1—6—1)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ალაჯანოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან და წინანდებურად მიიღებს სქესობრივსა, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს.

მიხეილის პროსპექტი № 60. ტელ. 660.
(2—205—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლა

დაიწყებს მოქმედებას 15 სეკდემბრიდგან. მიიღებენ შეგირდებს, ყოველგვარ საკერავს საცვლებს და ქალთა კაბებს შესაკერავად.

ვერა, ოლგის ქუჩა, სახლი ა. გაბაშვილისა, № 3 (Габаевскій переулокъ).
(5—უ—5)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლიათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—6

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. ვ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
(წლ.)

ტფილისი

⁂ კვირას, 14 სეკდემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა დადგენილებისამებრ, წირვა იყო და შემდეგ პარაკლისი მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის დღეგრძელობისა და ჯანმრთელობის მინიჭებისათვის. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს საექსარხოსოს დროებით მმართველი, ეპისკოპოსი გორისა ვენიამინი, რომელსაც ეკლესიის შესავალთან ყვავილი დაუფინეს ფიანდაზად. თანამწირველნი იყვნენ არქიმანდრიტები გიორგი და დოსითეოს, დეკანოზი ესტატე ელიაშვილი და სხვანი. წირვას და პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი ა. ა. ფრეზე, გენერალი თ-დი ივანე გივის ძე ამილახვარი, რუს-ქართველი გენერლობა, ტფილისის გუბერნატორის მოადგილე ალიმოვი, გუბერნიის მარშალი თ-დი დ. ზ. მელიქიშვილი, მაზრების მარშლები, მრავალი თავად-აზნაურობა ორთავე სქესისა და მრავალივე ხალხი, რომელიც ეკლესიაში არ ეტეოდა და გალავანშიც იდგა. გალობდა ექსარხოსის დასი. თუმცა ქართველი მგალობლებიც იყვნენ აივანზე, მაგრამ სივიწროვისა გამო იძულებულნი იყვნენ ადგილი დაეთმოთ ექსარხოსის დასისათვის, რომელიც წინად კანკელის წინ მოთავსებულიყო. ხალხი გულმოდგინეთ ევედრებოდა ღმერთს, რათა უავგუსტოესეს ავადმყოფს მიანიჭოს ჯანმრთელობა და სრული განკურნება.

⁂ წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის გარდა, მთელს კუკიაში არც ერთი ეკკლესია არ არის, სადაც ქართული წირვა-ლოცვა სრულდებოდეს. ეხლა ქართველებს განუზრახავთ თვით ააშენონ ტაძარი, სადაც გასაგებ ენაზედ შეეძლოთ წირვა-ლოცვა მოისმინონ. ახალ ტაძრისათვის შესაფერს ადგილს ეძებენ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორად დაინიშნა ამ კანცელარიის საქმეთა მწარმოებელი ბ-ნი მაქსიმოვი. ვიცე-დირექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ბ-ნი ოსეცკი განთავისუფლდა ამ თანამდებობისაგან და დაინიშნა იმავე კანცელარიის განსაკუთრებულ განკარგულებათა განყოფილების გამგებლად, ვიცე-დირექტორის ხარისხით.

⁂ სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე სენატორი ს. ვრასსკი ტფილისს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

⁂ ჩვენი მსახიობი ვ. ალექსი-მესხიშვილი უკვე გამომგზავრებულა საზღვარგარეთიდგან სამშობლოსაკენ. 12 სეკდემბერს გამოსულა ვარშავიდან, როგორც დეპეშით იუწყება.

⁂ ქუთაისის თეატრის ელექტრონით განათების საქმე, როგორც იყო გადაწყდა, თეატრის ცამგე კომისიის მეცადინეობით. ქალაქის გამგეობამ უკვე შეუკრა პირობა ბ-ნ მ. ლაღიძეს, რომელიც თავის ბაღიდგან ელექტრონის მავთულს გაიყვანს თეატრამდე. მუშაობას მალე შეუდგებიან და იმედოვნობენ, რომ ოკდომბრის დამლევამდე ყოველივე მოწყობილება დაამზადონ. უნდა გაიმართოს 150 ლამპარი თითო 16 სანთლის ძალისა, ასე რომ პატარა თეატრისათვის საკმარისი სინათლე იქნება. სასიამოვნოა ელექტრონით განათება კიდევ იმიტომ, რომ ცეცხლის გაჩენის შიში აღარ ექნება არავის.

⁂ 18 სეკდემბერს თფილისის ქალაქის გამგეობა იჯარით აძლევს ქალაქის ბორანს, რომელიც მდ. მტკვარზეა გამართული, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა. მოვაჭრემ უნდა წარადგინოს 1,500 მანეთი. ვაჭრობა 11,000 მანეთიდგან დაიწყება.

⁂ 12 სეკდემბერს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კომისიამ განაგრძო იმ თანხის განაწილება, რომელიც მოსწავლეთათვის შემწეობის აღმოსაჩენად არის გადადებული. კომისიამ, სტუდენტის დიმიტრი ანდრონიკაშვილის ნაცვლად, რომელმაც სტიპენდიაზე უარი განაცხადა, კენჭის ყრით სტიპენდია დაუნიშნა მოსკოვში პროფესორ გერიეს უმაღლეს კურსების ყურის მგდებელს თამარ თაქთაქიშვილს. კომისიამ დაადგინა შეიტანოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში: ნახევარის წლის ფული შემდეგის პანსიონერებისა: ორის ძმის კეზელისა, ბაქრაძისა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა, იოსებ წულუკიძისა, გიორგი ვაჩნაძისა, რომანოზ ავალიშვილისა, გრიგოლ ავალიშვილისა, ევგენი რუსიშვილისა და ვლადიმერ სიმონაშვილისა; შეიტანოს აგრეთვე დარჩენილი ფული 48 მანეთი პანსიონერებისა პლატონ და რომანოზ ფალავანდიშვილებისა. კომისიამ შემწეობა აღმოუჩინა ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეს სარატიკ-ოღლის და კავკასიის საბებიო ინსტიტუტის მოსწავლე ქალს ხირსელიშვილს, რომელთა მაგიერად შეტანილი იქნება სწავლის ფული ნახევარის წლისა. შემდეგ კომისიამ განიხილა თხოვნები სამკურნალო საზოგადოებისა, ქართველ ქალთა საზოგადოებისა, ყაზბეგის სკოლის გამგისა და სხვათა. კომისიამ შეიწყნარა იმათი თხოვნები და დაადგინა: ქართველ-ქალთა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლას მიეცეს ერთხანად 200 მან. სამკურნალო საზოგადოებას ადგილობრივ ენებზე წიგნაკების გამოსაცემად—150 მ., ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების ქალთა სკოლას—200 მ. და ყაზბეგის სკოლას—150 მ. კომისიამ დაამთავრა იმ თანხის განაწილება, რომელიც შემწეობათა აღმოსაჩენად გადასდო წელს თავად-აზნაურთა კრებამ.

⁂ რკინის გზის სახელოსნოებში, შეცვლილა წესი მუშაობისა. სამუშაო დღე იწყება დილის 5½ საათზე და თავდება საღამოს 5½ საათზე. აქედგან საუზმისათვის გადადებულია ½ საათი, ხოლო სადილისათვის 1½ საათი. სასაუზმოდ შინ წასვლა აღკრძალულია, სასადილოდ-კი—არა. თუ სასადილოდ წასულმა დაიგვიანა და ვერ მოუსწრო საყვირის ხმას, იმას აღარ უშვებენ სახელოსნოში. ასე რომ ნახევარი დღე ეკარგება. ესევე ჰხდება დილის საყვირზედაც, მხოლოდ მაშინ მეოთხედი დღე ეკარგება, რადგან მეორე საყვირამდის აღარ უშვებენ სახელოსნოში კარებიდან. რომელიც დეპოს მხარეს არის. მარკებსაც ეხლა თვით „ტაბელშჩიკი" ყველა ცეხისა ცალკე აძლევს მუშებს. ეს ტაბელშჩიკები ყველა თავის „ცეხის" კარებთან არიან და, თუ ვისმეს უნდა მუშა ხელოსნის ნახვა, უნდა მიჰმართოს კარებთან მდგომ კაცს, რომელიც შეაცილებს და გამოაცილებს ყველას. თუ თვითონ მუშა-ხელოსანს ძლიერ საჭირო საქმე აქვს, უსათუოდ უნდა მიჰმართოს თვით ცეხის უფროსს ხელოსანს, რომელიც აძლევს მარკას და ისტუმრებს.

⁂ როგორც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ატყობინებენ, სამურზაყანოში ბევრგან ვენახებს ფილოქსერა გასჩენია. საფილოქსერო კომიტეტმა გაჰგზავნა სამურზაყანოს ოლქში განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც დაავალა სამურზაყანოს საზოგადოდან სოხუმის ოლქის სხვა ნაწილებში ვაზი არავის გაატანოს, რომ ფილოქსერა არ გავრცელდეს.

⁂ ქუთაისისა და ტფილისის სემინარიებში ვაკანსიების უქონლობისა გამო ბევრი მოსწავლე რჩება გულდაწყვეტილი და იცდის მეორე წლამდე, რადგან რუსეთის სხვა სემინარიებში არ იღებენ ქართველებს ლათინურ ენის უცოდინარობისა (ტფილისის სემინარიაში არ ასწავლიან) და სხვა მიზეზებისა გამო. ერთად-ერთი სემინარია რუსეთში, სადაც ქართველობამ კარგად ფეხი მოიკიდა, არის სტავროპოლის სემინარია. წელს აქ თხუთმეტ ქართველამდე მიუღიათ, რომელნიც ქუთაისის სემინარიაში არ მიიღეს. ჯერ არაოდეს არა ყოფილა, რომ ამდენი ქართველი მიეღოთ. აქაურ სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ძალიანა სცდილობს თურმე ქართველებისათვის.

† ვასილ ბასიშვილი.

(ნეკროლოგი)

დიდად სამწუხაროა საცოდავის ვასილ ბასიშვილის უდროვოდ დაკარგვა. განსვენებული იურიევის უნივერსიტეტში სწავლობდა, წელს მესამე კურსზედ გადავიდა და იურისტად ემზადებოდა. სამწუხაროა მით უფრო, რომ განსვენებულს დაახლოვებით ვიცნობდი. საცოდავი ჩემ კარ წინ დაიბადა, ჩემ თვალ წინ იზრდებოდა და სწორედ უცნაური რამ იყო: ლმობიერი ხასიათით, მოსიყვარულე გულით, გატაცებული სწავლით, თავმდაბალი პატარასთან, დაკვირვებული მოლაპარაკე დიდთან.

მამა მისი ისევ მედავითნედ იყო ს. ხეითში, რომ მეორე შვილად (პირველი ქალი ჰყვანდა) ვასილი დაებადა სულით კურთხეულ ნამდვილ ქართველ ქალსა და დედას ნატალიას, (ტიტვინიძიანთ ქალი იყო სამღვდელოთავანისა). ორის კვირის ბავშვისათვის რომ შეგეხედნათ, ორის წლისა გეგონებოდათ. ზღაპრათ რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისე იყო: ვინც წლით იზრდებოდა, ის საცოდავი დღით იზრდებოდა. ისე გაკეთებული იყო, რომ ხორცში არ ეტეოდა. ბავშვი საშკოლოდ მოიყარა, მამამაც მთავარ-დიაკვნობა მიიღო. ნატალიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. პატარა ვასო დედამ საშკოლოდ მოამზადა და გორში დას ჩააბარა, რომ თავის ერთი ძე საიმედო შვილი აღზრდილიყო. პატარა ვასამ აღმაფრენით დაიწყო სწავლა. ყოველთვის საიმედო ნიშნები მოჰქონდა, ასე რომ პირველ მოწაფეთ გაათავა გორის სასულიერო სასწავლებელი და ტფილისის სემინარიაში უეგზამენოდ მიიღეს სრულს ხარჯზედ. მშობლები და ნათესავები ცას მოეწივნენ, მაგრამ საცოდავ ვასოს ბედმა უმუხთლა და გაგიჟებით მოსიყვარულე დედა ხელიდან გამოაცალა. ამ უდროოდ დედის მოშორებამ, ცოტა არ იყოს, დაღონება დაატყო. დაღონება რაღაც სიბრაზედ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაექცა და თითქოს ამ სიბრაზეს თავის და-ძმებშივე ანთხევდა. კარში-კი იგივე გულკეთილი ვასო იყო. სემენარიაშიც ერთობ კარგად სწავლობდა მხოლოდ, რაღაც ავადმყოფობა დასჩემდა და ხშირად სემინარიის საავადმყოფოში იწვა ხოლმე, რაც ბავშვს უფრო გულს უჩქროლებდა. ეს შეუნიშნავი არ დარჩა სემენარიის მთავრობას და მოფერებით უთხრეს: შენ ზე მფრინავი შავარდენი ხარ და ცოდოა შენი აქ ყოფნა, წაიღე წამლები, წადი სოფელში, სუფთა ჰაერზედ გამოკეთდი და ჩამოდიო. ვასოს მართალია საავადმყოფოში ყოფნა ჭირივით ეჯავრებოდა, მაგრამ არც სოფლისაკენ მისწევდა გული. ან-კი ვიღა ეგულებოდა იქ? ისევ ძალა-უნებურად გათხოვილ დასთან მიდიოდა და აქ იყო ხოლმე იმ დრომდის, სანამ ეგზამენები დაეწყობოდა. ჩავიდოდა ეგზამენებზედ და, წარმოიდგინეთ, სხვებზედ გაცილებით კარგად აბარებდა ეგზამენს ეს ნიჭიერი ბავშვი.

ერთხელ საავადმყოფოში იწვა და სანახავათ მივედი მაშინვე წამოდგა, მომიჯდა გვერდით და მითხრა: ხვალ ან ზეგ მამას ჩამოველი, თორემ აქამდინ სოფელში წავიდოდიო. ვკითხე: რათ გინდა მამა, რა საქმისათვის ჩამოვა მეთქი? საწყალმა ამოიოხრა და ნაღვლიანად მითხრა: მამაჩემია ეხლა შესაბრალისი, სახლში პატრონი აღარავინა ჰყავს და პატარა შვილებს უგზო-უკვლოდ დააწიალებსო. ამიტომ მინდა მივუძღვე ეგზარხოსთან და ვსთხოვო ოსეთიდგან ქართლში გადმოიყვანოს სადმე, რომ შვილების მოვლა-პატრონობა შეეძლოსო. (კაი ხნის ნაკურთხი მღვდელი იყო და ქეშელთაში მსახურობდა.) გასჭრა პატარა ვასილის თხოვნამ. პირობა მისცა ეგზარხოსმა ვლადიმერმა ამ სიტყვებით: მე ვასრულებ შენს თხოვნას და შენც პირობა უნდა მომცე, რომ მღვდლად წახვალო.

— თქვენო მეუფებავ, ჯერ მე ვსწავლობ და მერეც ავადა ვარ; მაგაზედ შემდეგაც შეიძლება მოლაპარაკება.

მადლობა გადაუხადა და მამასთან ერთად გაემგზავრა სოფლისაკენ

ვასო თავის დისაკენ გაემგართა, მაგრამ ეს მგზავრობა ვასოსთვის საფარსაგო არ იყო. საცოდავს დედის შემდეგ საყვარელი და გადაეცვალა. ახლა სრულიად გამოიცვალა საცოდავი ბავშვი: სახე მოეღრუბლა, შუბლი დაუნაოჭდა და ყმაწვილური ხალისი სრულიად დაჰკარგა. სხვა უამისოს ერთ კლასში ორი წელიწადი მოუხდებოდა დარჩენა, მაგრამ ის ჩვეულებრივ 5-ით გადადიოდა. ჩქარა მამაც გადმოიყვანეს ოსეთიდგან ქართლში (ს. ბებნისს), საიდანაც უფრო ადვილად შეეძლო შვილების მოვლა-პატრონობა.

აგერა პატარა ვასომაც გაათავა სწავლა, მიიღო პირველ ხარისხის მოწმობა და გამოეთხოვა სემენარიის კედლებს, ტოლ-ამხანაგებს და აღმზრდელებს. ყველამ ურჩია მღვდლათ წასულიყო და სადაც ითხოვდა, იქ მისცემდნენ საუკეთესო ადგილს, მაგრამ ვასოს გული და გონება ზეით მიჰქროდა, მაღალ სწავლისათვის. გათავების უმალვე უნდოდა წასვლა (იქნება უფრო კარგად წასულიყო მისი საქმე) და ამიტომ შეეხმიანა ნაცნობ-მოკეთე-ნათესავებს, ფულით დაეხმარებოდნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ზოგი ერთი გულ-ცივი ნათესავი მაშინ გაგიწევს ნათესაობას, როცა ორი იმოდენას შენგან გაელის რასმე. ვასოს ოცნებას ფრთები შეეკვეცა და გორში აღმზრდელის ადგილი იშოვა. დარჩა წელიწადზედ რაღაც ცოტა მეტ ნაკლები და დაიწყო უნივერსიტეტში წასასვლელად გამზადება. ერთი კიდევ ვცადე, რომ ავადმყოფი ბავშვი გაყინულ ქვეყანაში არ წასულიყო და იმას დასჯერებოდა, რაც ისწავლა. ათასი მაგალითი დაუსახელე, მაგრამ ამაოდ თავისი არ დაიშალა. გამოგვეთხოვა ყველას და გაუდგა გზას 1900 წელს. აქაც ათასი უსიამოვნება გადაელობა წინ მის დაკოდილს გულს და სტუდენტთა არეულობის დროს დათხოვნილ იქმნა ერთის წლის ვადით. წელ-მოწყვეტილი დაბრუნდს, მაგრამ დასვენების მაგიერ ან წიგნებს ჩაჰკირკიტებდა და ან რაიმე მოთხრობებსა სწერდა, რომლებიც ათჯერ უკეთესები იყო უკვე დასტამბულებზედ *).

საცოდავი მამა სწუხს მეტის-მეტად თავის ღირსეულის შვილის დაკარგვას. საცოდაო მამავ კეთილისა და დაუფასებელის შვილისავ! იტირე, იტირე, ცრემლი მწუხარების შვილია. სატირელი არა გაქვს თუ? დაჰკარგე საყვარელი შვილი, რომელსაც ანაცვალე ყოველივე იმ აზრით, რომ შენი ვასო მაღალის ცოდნით აღჭურვილი დაგიბრუნდებოდა და სიბერის დროს შეგისუბუქებდა ყოველსვე განვლილ მწუხარებას და ის გაუძღვებოდა შენ ქალვაჟს, მტერსა და მოყვარეს. რაც შენ ვერ შესძელ, ის შეასრულებდა. განა უმცროსი ძმა-კი უბედური არ არის? ამ ზაფხულს შემომტირა: მამა ჩემი მეუბნევა, გორში გაათავე და იმყოფინე, მე მეტი გაძღოლის თავი აღარა მაქვსო. და განა ცოდო არა ვარ? ჩემმა ძმამ მაღალი სწავლა მიიღოს და მე სემენარიაც ვერ გავათავო?!

— ნუ გეშინიან, შვილო, ვასო გიპატრონებს ჩვენც დაგეხმარებით და ღმერთი ხელს მოგიმართავს მეთქი.

ამითი დავაიმედე საცოდავი უმცროსი ძმა ვასოსი და დახედეთ, ულმობელმა სტიქიონმა ცეცხლისამ როგორ მოულოდნელად დაგვცა თავს ზარი: ცოცხალიც დაგვიკარგა და მკვდარიც.

მშვიდობით, საუკუნოდ დაუვიწყარო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი და იქნება კიდეც, იმიტომ რომ სხვებს არ ჰგავდი; იმიტომ, რომ მედგრად ეტანებოდი სწავლას; იმიტომ რომ ნიჭი გქონდა და გწყუროდა მისი განვითარება შენის ქვეყნის სასარგებლოდ; იმიტომ რომ გული გქონდა და მხურვალედ გიყვარდა შენი სამშობლო.

ს. ბერძნიშვილი.

ამხანაგობათა კავშირი.

ბათუმში 10 და 11 სეკდემბერს, ქალაქის სამმართველოს სადგომში, კერძო თათბირი ჰქონდა პეტერბურგიდან განგებ ამისთვის ჩამოსულს სახელმწიფო ბანკის ინსპექტორს ბ-ნ ბერეტტის, ქუთაისის გუბერნიის სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა წარმომადგენლებთან. ბ-ნ ბერეტტის ფინანსთა მინისტრისაგან მინდობილი აქვს რევიზია მოახდინოს ზოგიერთ, უფრო თვალსაჩინო ამხანაგობათა საქმის წარმოებასა. მართლაც, სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მოანგარიშესთან ერთად, ჩამოიარა იმერეთის და გურიის ზოგი ამხანაგობა და წიგნების გასინჯვით გაიცნო საქმის ვითარება, წარმოება და კასსის მდგომარეობა. ამის შემდეგ 10 ამ თვეს, თათბირის დაწყებამდე ამხანაგობათა წარმომადგენლებს (სულ 25 ამხანაგობათაგან თერთმეტი წარმომადგენელი გამოცხადდა) დაახლოვებით შემდეგის სიტყვით მიჰმართა: სანამ დღეისთვის ჩვენ ერთად შევიყრებოდით სათათბიროდ, სთქვა ბ-ნმა ბერეტტიმ, მე გავიცანი ადგილობრივ ამხანაგობათა მდგომარეობა. გულახდით უნდა გითხრათ, იმის ნახვასაც არ მოველოდი, რაც რევიზიამ დამანახვა. მე არ მეგონა, თუ რუსეთის ამ განაპირა ქვეყანაში ასე კარგად ნაწარმოებ ამხანაგობებს შევხვდებოდი. უფრო სასიხარულო ის არის, რომ არსად ამხანაგობათა წარმოებაში ბოროტ-განძრახულობის კვალი არ ამჩნევია. არის, მართალია, შეცდომები, მაგრამ ყველგან საქმის ერთგულად და უანგაროდ გაძღოლის სურვილი გამოსჭვივის. შემდეგ განმარტა საჭიროება და სარგებლობა, რომელიც შესაძლოა მოუტანოს ამგვარ დაწესებულებათა წარმომადგენლების ერთად თავმოყრამ საზოგადო საჭიროებათა შესახებ მოლაპარაკებასა და აზრების გაზიარებას. დასასრულ, ისურვა, პირველ ცდას ნაყოფი მოეტანოს და ასეთი თათბირი შემდეგში თანდისთან გახშირებულიყოს.

კრების განსახილველი საგნები იყო: რა და რა დაბრკოლებანი ელობება წინ ამხანაგობათა წარმატებას: ნასესხ ფულის ვადაზედ შემოუტანლობა და თამასუქების მუდმივი გადაწერა და გამოცვლა; საწევრო ფულის (პაის) ფიკტიურად (თამასუქით) შემოტანა; სესხის გადახდევინების სიძნელე; ძველი და ახალი წესდება ამხანაგობათა; მათგან რომელი უმჯობესია; წილის ფულის შემოტანა რამდენად აძნელებს გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობათა დაარსებას; სასურველია თუ არა დაარსებულ იქმნას უწილისფულო ამხანაგობანი (кредитныя товарищества) *); მოხმარება სახელმწიფო ბანკის მოკლევადიან სესხისა; საჭიროა თუ არა, ამხანაგობათა კავშირი შეადგინონ; საერთო კავშირი უფრო სასურველია, თუ სამაზრო; დაარსებისას კავშირში ყველა ამხანაგობანი მიიღებიან, არჩევით ანუ ერთმანეთთან შეთანხმებით.

კრებამ მოიწონა საერთო კავშირის დაარსება—ქუთაისის გუბერნიის, ბათომის მხარის და სოხუმის ოლქისათვის; მოიწონა წილის ფულიანი (გამსესხებელ-შემნახ.) ამხანაგობანი, რომელიც სახელმწიფო ბანკს პირდაპირ არ ექვემდებარება, აგრეთვე, სადაც გარემოება ხელის შემწყობი იქნება, საჭიროდ სცნო უწილის ფულო ამხანაგობათა დაარსებაც სახელმწიფოს ბანკის ძირის თანხით; კრებამ უარ-ჰყო წილის ფულის ფიქტიურად შემოტანა და თამასუქების მუდამ გამოცვლა; მოიწონა საგნიანის სესხის გავრცელება (სესხი, რომელიც გატანილ იქნება სამეურნეო აღებმიცემობისა და მრეწველობის წარსამატებლად და არა დღიურ და პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: წვეულობა-ქელეხებისა, ქორწილ-ნათლობისა და სხვა.

კავშირის დაარსება კრებამ სცნო უპირველეს საჭიროებად ამხანაგობათა წარმატებისათვის. კრებამ სასურველად სცნო, კავშირში მიღებულ იქმნენ არა მარტო საკრედიტო, არამედ სამეურნეო და მომხმარებელი ამხანაგობანიც, რომ ამათ ერთმანეთის დახმარებით და სააღებ-მიცემო თანხის გაძლიერებით უფრო გაუადვილდეთ სოფლის საჭიროებათა დაკმაყოფილება.

კრებაში წარდგენილ იქმნა ამხანაგობათა კავშირის პროექტი, შემუშავებული კუხ-გუბის, დიდ-ჯიხაიშის, ლანირის, ფარცხანაყანევის და მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმომადგენელთაგან. კრებამ სასურველად სცნო დაუყოვნებლივ დამტკიცდეს წესდება. ამისთვის ხელ-საყრელი იყო ბერდიანის კავშირის წესდების შეუცვლელად მიღება და დასამტკიცებლად გაგზავნა. მაგრამ ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა არა სისრულე, მაგრამ კრებამ გამოაცხადა სურვილი, რომ ბერდიანის კავშირის წესდება მაინც გაგზავნილ იქმნას დასამტკიცებლად და თან უნდა ეთხოვოს მთავრობას, რომ ამ წესდებას დაემატოს საჭირო ცვლილებანი, ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: 1) კავშირს ჰქონდეს ნება ფული მიაბაროს ამხანაგობას ანუ სესხად მისცეს და 2) კავშირში მიღებულ იქმნან სამეურნეო და მომხმარებელი ამხანაგობანიც. ზოგიერთ ცვლილებათა განხილვის შემდეგ, რომელიც ჩართულია კავშირის წესდების ახალს პროექტში, ბ-ნ ბერეტტიმ აღიარა, რომ ახალი წესდება ბევრად უმჯობესად არის შედგენილი, ვინემ ბერდიანის კავშირის წესდებაო. „ამ უკანასკნელის შედგენაშიო თვით მე ვიღებდი მონაწილეობასა, მაგრამ დამტკიცების დროს ბევრი რამ წაგვიშალესო, მაგალითად, სესხება-გასესხების ოპერაციის ნება მაშინ არ მოგვცეს, ხოლო ეხლა, შესაძლებელია, არ დაგვიშალონო“. ბ-ნ ბერეტტი გრძნობიერის სიტყვით და მადლობით გამოეთხოვა კრებას. კრებაც დიდი კმაყოფილი დარჩა მის ამხანაგურის ყოფაქცევით და საქმიანის დარიგებით.

ნ. წერეთელი.

სვანეთში ორი კვირით

(შემდეგი *)

მეორე დილით გამოვემშვიდობეთ პატივცემულს დიასახლისს-ქალბატონს და გავსწიეთ აღმა ს. სასაშთსაკენ. აქ ბლაღოჩინი გერსამია გამოგვეთხოვა და გაგვიძღვა წინ. მ. მარღიანი ავედით სამკურნალო წყალზედ („მუაში“) მაღლა ტყეში, პატრა ოთხ-კუთხი კოდია მიწაში ჩასმული და შიგ ამოჩუხჩუხებს წმინდა ანკარა მჟავე წყალი. ღმერთმა შეარცხვინა ქალაქებში ევროპიული სასმელი წყლები—ზელტერი, ლიმონადი და სხ. მშვენიერ გემრიელ სიმჟავესთან—პირსა შუშხამს და ცხვირიდგან მწვავედ გამობოლავდა. რას ჰქვიან ბორჯომის წყალი, ნარზანი და სხ? ექვს-ექვსი დიდი სტაქანი გადავხუხეთ დილის თერთმეტ საათზედ და კიდევ გვინდოდა, ისეთი სასიამოვნო სასმელი იყო. საითაც გადავდგით ფეხი, რკინის წყალი გადმოჩხრიალებს და კალაპოტი რკინის ჟანგით დაუფერავს. მუაშის აღმოსავლეთით, უფრო მაღლა არის გოგირდის საბანებელი წყალი. ზაფხულობით კარგა ბლომათ დაიარება ხალხი ამ წყლებზედ—ლეჩხუმიდგან, იმერეთიდგან.

ბარე შვიდი ვერსი ვიარეთ ტყე-ტყე. დღე ღრუბლიანი იყო, წამდაუწუმ იცვლებოდა დარი—ხან წვიმდა, ხან გადიკარებდა. აქ რომ დაიგრგვინამდა, დაიჭექებდა და გაღმა-გამოღმა მთები ზანს დასძახებდნენ, მოდი და ნუ გამოისახამდი პირჯვარს; ამ ჭექა-ქუხილმა მეტად დააბუნა ჩვენი სტეპან ანტონიჩი.

იქნებოდა შუადღის პირველი საათი, რომ ლაშხეთის ხიდზედ გავედით ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ და ჩამოვხდით ს. ჟახუნდერში. აქ წმ. გიორგის საყდრის ვრცელ ამწვანებულ ეზოში ახალგაზდა ბლაღოჩინი მ. იოანე მარღიანი სცხოვრობს. წინ, ეზოში სდგას უზარ-მაზარი ცაცხვი. გარს შემოზომილი თოკი ექვსი საჟენი გამოვიდა, იმ სიმსხოს. ქარისა და თოვლისაგან თავანდელი ტოტები დაჰმტვრევია, მაგრამ მაინც მისს ჩრდილს თხუთმეტ საჟენზედ მეტი სიგანე აქვს. ამ ცაცხვის გვერდით ორ პირათ აწყვია სიპის გძელი ფილაქნები რამდენსამე ადგილს. ეს არის სამდთოში სვანების სასხდომი სუფრის ირგვლივ.

წმ. გიორგის საყდარი თლილი ქვისაა, უგუმბათო, როგორც ყველა სვანეთის საყდრები. თავანდელი დაძველებული საყდარი გაუახლებიათ როდისღაც და სამი პატარა ფუტურო ქვა, ასე VIII საუკუნის ხუცური ასო-მთავრულის წარწერით არევდარევით, უალაგო-ალაგს ჩაუტანებიათ აღმოსავლეთის კედელში, დაბლა, ასე ორი ადლის სიმაღლეზედ. წარწერა დაზიანებულია და სრული აზრის აღდგენა შეუძლებელია. წარწერა იწყობა შუა ქვიდგან—№ 9 „წმიდაო გიორგი შეიწყალე... წმიდისა... აგ'ენე... დადძეაჲ... შ'ე ხუჲ... იუჱს... ჳ...“ ასოები ძალიან დიდი ხნისაა და ოდნავ ემსგავსება ჩვენს საეკლესიო მუზეუმში ახალციხიდგან ჩამოტანილ ქვების ზოგიერთ წარწერის ასოებსა. საკურთხეველში მარჯვნივ კედელზე ჰკიდია დაძველებული, მაგრამ საუცხოვო ხელოვნების ოქროში დაფერილის ვერცხლით შეჭედილი წმ. გიორგის ხატი—სიმაღლით თითქმის ადლი, სიგანით ცოტა ნაკლები. ამ ხატს დაბლა მარცხნივ შემდეგი წარწერა აქვს ხუცური ასომთავრულით: № 10 „ქ. მოიჭედა ხატი ესე მაჲსახლისობასა ვახტანგ ლომინაჲსძისასა. გამოიღო ოცისა დრაჰანისა საქონელი, მისცა ხელოვანთა მისაცემელად და გვედრიან სოკლით და ჴორცით, ჰოი მოწამეო გიორგი!..“ დანარჩენი წარწერიანი ვერცხლი მოტეხილია. ბროსსეს დროს, 1847 წ. კი ისევ ყოფილა და დანარჩენი ასე წაუკითხავს—„წმიდაო გიორგი ცოცხლებით გაუმარჯვე სულსა გ'ე ლომინაჲსა და გიორგისა, ცოდვანი მათნი შეუნდვენ ღმერთმან, მეუღლესა მათსა შეუნდვენ ღთ, ძენი მათნი შეუნდვენ (?) ღმერთმან“...

სვანის სახლი მაგარი სიპის ქვით არის ნაშენი, და ხშირათ ორ სართულიანია, ხშირათ ქვითკირის გალავნით ირგვლივ, ან ქვის ყორე-მოვლებული. შიგნით სახლის მოწყობილობა საზოგადოთ ქართლულია: დედა-ბოძს წინ ცეცხლის კერას აღნიშნავს მოზრდილი კლდის ქვა, რომლის გარშემო ქვებია ჩასხმული მიწაში და რგვლად შემოფარგლულია ცეცხლის დასანთები ადგილი. მაღლა თავხეზედ ჩამოკიდებულია ჩვენი გამჭვარტლული რკინის ჯაჭვის საკიდელი. კერის გარემო ბოძიც და ჭერიც დაკორტნილია: ჯვარ-დაწერილ მეფე-დედოფალს რომ შემოიყვანენ მეფის სახლში, კერას შემოატარებენ სიმღერით, მაყრები ამოღებული ხმლით და ხანჯლით ჰკორტნიან სახლის ჭერს, ბოძებს, რომ ავი სული გაერიდოს სახლსა და მეფე-დედოფალს არა ავნოსრა.

კერას აქეთ-იქით სიგძეზედ რგვალი ხეებია (ზღვე) დაგებული და პატარა დასაძინებელი ტახტებია შეკრული. კედლების ასწვრივ ჩარიგებულია ხის კოდები (ფქვილის, ხორბლის შესანახი), კიდობნები, ყუთები და სხ. ყველა ესეები აჭრელებულია ჩუქურთმებით და ჭვარტლმოკიდებულია. ეს ხელოვნება ქართულია და დღეს წმინდათ შენახულია რაჭაში. ხშირათ ნახავთ სამ-ფეხა ლამაზ სკამებს, წყლის საზიდ პატარა სადღობელას (კუტალი). საზოგადოდ დიდი სიღარიბე ეტყობა სვანის სახლკარ-ბინადრობასა. მთელი სვანეთი ძველადვე გაუნადგურებია სისხლის შურის-ძიებასა და დღესაც წელში ვეღარ გაშლილა.

სვანის სახლი ისეა მოწყობილი, რომ ზაფხულში მაღლა სცხოვრობს, ზამთარში დაბლა. ათვალიერებთ სოფელში, მაგრამ ჭაჭანებას ვერ ხედავთ ქათამსა და ინდოურსა. აქა იქა თუ დაყიალებს სამი ან ოთხი ბატი.

აქაც გვიმღერეს სვანებმა რამდენიმე სიმღერა: ისევ ქართლული კილოები, ისევ ქართული ბანი და მოძახილი.

VI

ს. ჟახუნდერში არის სამინისტრო სკოლა, სადაც გამეფებულია ლევიტსკის და მის ამხ. უკუღმართი მუნჯური მეთოდი სწავლებისა.

ჩრდილოეთით მთის ძირობაზედ ჟახუნდერს აკრავს ს. ჩუკული. აქ მთავარ-ანგელოზის მშვენიერი საყდარი ჯადახურულია ყავრით გარშემო ორი ადლის სიგანეზედ ისე, რომ თვით საყდარს თავის დღეში წვიმა ვერ მიეკარება. აქ მგზავრის ყურადღებას იქცევს ურთხლის ძველი კარები, რომელზედაც საოცარის ჩუქურთმის ხელოვნებით გამოყვანილია წმ. გიორგი, მთავარ-ანგელოზები მიქელ-გაბრიელი და ათორმეტნი მოციქულნი, ყველას ასო მთავრულით წარწერილი აქვს სახელი.

ამბიონის წინ ერთი ადლის სიმაღლე, ალებასტრით გალესილ სვეტზედ სდგას დიდი ჯვარი, ასე სამი ადლის სიმაღლე, ვერცხლით შეჭედილი და ოქროში დაფერილი, ზედ გამოყვანილია ხატები—მაცხოვრისა, ღვთის მშობლისა, წმინდა გიორგისა, მიქელ-გაბრიელისა, მოციქულებისა და სხ. სვეტზე აწერია ხუცური ასო-მთავრულით ასე XIII—XIV საუკ. ხელით: № 11. „ქ. წმიდაო მიქელ ადიდე ჯუმბერ და სოფელი ესე“. დანარჩენი გადასულია. საყდარი მოხატულია. კანკელი თლილი ქვისაა, მარტო ოდენ აღსავლის კარებით.

ოქროთი მოჭედილ მთავარ-ანგელოზის ხატზე აწერია ხუცური ასო-მთავრულით: № 12 «ქ. წმ. მთავარ-ანგელოზნო შეიწყალე ივანე ლორიანი. წმიდაო მთავარ-ანგელოზნო მწე და მფარველ ექმენ ივანე ლორიანსა. ივანე ლოდგინსა. მოიჴსენე სახელობასა მ.. შ...»

ვერცხლით მოჭედილ მთავარ-ანგელოზის ხატზე მხედრული ასოებით: № 13. «წმ. მთავარ-აგელოზნო მეოხ ეყავ კაცია გედუანსა, სულსა და გიორგის...»

სვანეთის საყდრებში შენახულია მრავალი ძველებური ნივთები, მაგ., ს. ჩუკულის საყდარში დაცულია სასოფლო ბუკი სიმაღლით ადლნახევარი. როცა ერობა უნდა შეყრილიყო რომელისამე საზოგადო საქმისა გამო, საყდრის ოთხივ მხრივ გალავანში ამ ბუკს დააყვირებდნენ და მთელი სოფელი მოიყრიდა თავს.

დღესაც ხმარობენ ბუკს საზოგადოების ყრილობისათვის. ბუკი სპილენძისაა, აქა-იქა სალტებ-შემოკრული. ბოლო ერთი მტკაველის სიგანე აქვს და ორ მტკაველამდის ნელ-ნელა მოვიწროებულია, მერე-კი თითქმის თანაბარი ლულა მისდევს იმ სივიწროვით, რასაც კაცი პირს თავისუფლათ მოჰკიდებს ჩასაბერავად.

აქვე ვნახეთ სპილენძის ემბაზი—სანათლავი, ჩვენებურ მანჯანიკის ტაშტს წააგავს, მხოლოდ უფრო ღრმაა და ვიწრო.

აქვე ვნახეთ ძველებური რკინის ხელხუნდი, რომელსაც დამნაშავეს ორივე მაჯაზე შეუყრიდნენ ხოლმე უწინ.

მღ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

ს. თიანეთი. ადრევ თიანეთში, რომ ჯაყჯაყა აკოფაშვილს პეტრე-ფერშალი შემოაკვდა, მაშინ ერთმა გოგოლაურმა ფშაველმა ლექსი გამოსთქვა, რომელიც ასე იწყობოდა: „საწყლებო თიანელებო, პურის ჭამა გაქვთ სისხლისაო“; მაგრამ საამისო მაშინ თიანელებს რა უჭირდათ? მაშინ-კი არა და წლეულ, აბა, რა მოგახსენოთ! იმ დროს სახლის ტოლა პურის ბეღლები და უშველებელი ორმოები ძველის-ძველი ხორბლითა, ფეტვითა და ქერით სავსეები იყო და წლეულ იმ ბეღლებს სახლებად აკეთებენო; ორმოებს ვიღა ეძებს? ისინი პურის მაგიერად ბაყაყებით არიან სავსე. მაშინდელი ყანის ძნა ბამბის ქულასავით თეთრი გადმოვარდებოდა ხოლმე საძნიდამ კალოში და წლეულ ძნები სადღა გახლდათ? ხოლო თუ მოიწადინებდი და გათიბულს ძნად შეჰკონავდი, ჩახურებული ბალახის კონას დაემგვანებოდა. მაშინ თუ პურიდამ გორველას არჩევდნენ, წლეულ გორველიდამ პური უნდა აარჩიონ და ამისათვის თიანელებს წლევანდელი თავიანთი პურის მოსავლისათვის «პილპილი» დაურქმევიათ განა ხორბალი. მთელ თიანეთის გარშემო სოფლებში არავის ყანაში ნამგალი არ შეუტანია, გაუთიბნიათ მარტო ცელით და საბზეველ გაულეწ-

---

*) მისი მოთხრობანი დაიბეჭდა «ივერიაშიც» და „ცნობის ფურცელშიაც“.

*) ასეთ ამხანაგობას თავდაპირველად დასაარსებელ თანხას, (ათას მანეთამდის) სახელმწიფო ბანკი ასესხებს ხუთის წლით და ეს ამხანაგობანი სახელმწიფო ბანკის და მის განყოფილებათა ზედამხედველობის ქვეშ არიან. ავტ.

*) იხ. „ივერია“ № 195.

ნიათ. ბევრი ეხლავე ფეტვსა ჰფქვავენ და იმის მჭადი უნდა სჭამონო. წლევანდელი თიანური ერთი პეშვი ხორბალი, რომელსაც თვიან კარს ეძახდნენ, დავყარე ქაღალდზედ და გავარჩიე—ამოვიდა: 34 მარცვალი დედალი პური, ისიც ნახევარი მშიერი, ამოტელიკე მარცვალი ხვილა, ხოლო დანარჩენი—გარეველა, ჰიოტა, ქინძრუტა, მახობელი და შვრია. ამისთანა მოუსავლობას არა დროს არ მოსწრებიან. ბალახიც არა ყოფილა, რომ ის მაინც მოეთიბნათ საქონლის საჭმელად. რა ჰქნას თიანელმა გლეხმა—თავი გამოიკვებოს, ცოლშვილი, თუ საქონელი? თითქმის მთელი ხალხი ეხლავე პურისათვის აქა-იქაა მოფენილი.

ქისტი-ჩობანი.

ს. დილომი (ტფილისის მაზრა). დადგა შემოდგომა. თითქმის ყველამ, ვისაც რა ჰქონდა, მოიმკო, მოისთვლიანა და დაიბინავა. სწორეთ რომ ვსთქვათ დილომში წრეულ არა იყო რა და რაც იყო, სათქმელი არ არის. პური, რაც არ დაუთესნიათ, რა მოუვიდოდათ და ვისაც ჰქონდა, ისიც მოუცდათ უხეირო გაზაფხულისა გამო. ვენახები გაფუჭდა ნაცრისაგან, სეტყვისაგან და უმეტესად დიდის ქარებისაგან. მგონი ზოგმა ყურძენიც კი ვერ დასძლია, არამც თუ ღვინოდ დაეყენებინა; ასე რომ დილომი მოსავლის მხრივ წრეულ ცარიელი დარჩა, თუ არ ვიგულისხმებთ ბოსტნებს, რომლებიც ბლომადაა. მხოლოდ ძლიერმა გვალვამ და უწყლოობამ უკან დასწია, თორემ აქედან დილომელებს კარგი შემოსავალი ექნებოდათ.

ნეტავი რა უნდა ჰქნას ხალხმა ამისთანა დროს და როგორ გაუძლოს ამოდენა ხარჯებს, რომელიც დღითიდღე მატულობენ და მარტო „გამოიტა"-ღა ისმის. ამ ხარჯებს ჯანი გავარდეს, ვიცით ვისაც მიაქვს და რისთვისაც, მაგრამ ეს „ახალი ხარჯები" რაღაა, რომ კერძო კაცნი აწვრენ ისედაც დაბეჩავებულ ხალხს, მისდა დაუკითხავად? მე მოგახსენებთ ქურდებზედ, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ აქაურებს და ვაი ვაგლახით მონაგარ პურს, ღვინოს თუ საქონელს ჰპარავენ და ხელს აბანინებენ. ზოგს დუქანს უტეხენ და გააქვს რაცა ჰსურთ (ერთს მედუქნეს ძროხის ხაშით სავსე ქვაბი მოჰპარეს, ნიორი კი დავიწყებოდათ), ზოგს ფქვილს ჰპარავენ, ზოგს ფულს, ცხენსა და ხარსა და კამეჩს. აი ეხლაც ორ საწყალ ღარიბს გლეხს რვა ენკენისთვეს, ღამით მოჰპარეს უღელი კამეჩი და დაუბნელეს მზე. ერთს ბანი აუხადეს, ახალი მაჭარი ეგულებოდათ, ჰაშნიკი კი ენახათ, მაგრამ ღმერთს ხელი არ მოემართნა და ვერა წაეღოთორა (სჩანს, სხვა დროისათვის დაგაუდვიათ). ჯერ ღვინის რა მოსავალი იყო და ისიც სხვებმა—დაუპატიჟებელმა სტუმრებმა უნდა მიირთვან.

მერე, რატომ სოფლის მოხელე თვალყურს არ ადევნებსო? იკითხავს მკითხველი. მე მოგახსენებთ:—მოხელეს ბეჩავისათვის არა სცალიან, გართულია თავისთავის სიამოვნებაში; უფროსების მოწერილობანი ასრულებაში მოიყვანოს და სხვა რა ენაღვლება, თუნდაც რომ სულ იღუპებოდნენ. ამ სოფელს რომ პატრონი ჰყავდეს, ადვილია ქურდების ალაგმვა, მით უფრო რომ ყველამ კარგად იცის, ვინ არის ქურდი, აბეზარი და მოჩხუბარი. გარეული ასე შინაურულად ვერ გაივლის დილომს, თუ შიგნიდგან კარი არავინ გაუღო. მაგრამ აქაურმა ქურდებმა კარგად იციან, რომ მათი ხმის გამცემი არავინ არის და გიჟები ხომ არ არიან, რომ სიამოვნება მოიკლონ ნაქურდალ ფულების ალებით.

როგორც ეტყობა, ხალხი ძლიერ ირყვნება. რაღა თქმა უნდა პირველი მიზეზი ქალაქია თავის სიახლოვისა გამო. რასაც ქალაქში საძაგლობას ჰხედავენ, აქ, დილომში იმეორებენ და მით ჰპილწავენ სოფელს. მეტადრე ახალგაზდობა, ანუ აქაურად „ჯეელობა". ზედ დაუმატოთ დილმური დუქნები (სასმელის დუქანი ათია), რომლებიც ძრიელ ხელს უწყობენ ხალხს ლოთობაში, ჩხუბსა და ყველა-გვარ სისაძაგლეში. კვირა არ გაიჩნიათ, უქმე და საქმის დღე. თავიანთ მონაგარს, რაც ქალაქს გადურჩებათ, აქ ათავებენ. ერთი აყალ-მაყალი, ჩხუბი და თავპირის მტვრევა—ღაა თითქმის ყოველ დღეს. მერე ღამე, ვისიც ჯავრი სჭირთ, სახლებში მივარდნაც შემოიღეს და, რაცა ჰსურთ, იმას სჩადიან. რომ ესმოდეთ რამე, სულაც დააკეტინებენ დუქნებს და თავიანთ თავს სახრჩობელისგან დაიხსნიან. ან რისთვის არის დილომში დუქანი საჭირო, როდესაც ქალაქი ზურგზედ აკრავთ და ადვილათ შეუძლიანთ ხელი მოინაცვლონ ყველაფრით? განა არ შეიძლება მაინცა და მაინც დუქანი იყოს, მხოლოდ იქ სხდომის და ჭამა-დალევის ნება არავის მისცენ და, საჭმელია თუ სასმელი, გარეთ გატანით გაიყიდოს (**НА ВЫНОСЪ**). მედუქნისათვისაც ხეირია, რასაც აიღებს ნაღდსა და შეგნებით, თორემ დუქანში მოქეიფესგან ბევრი ზარალიც მოსდით და ხალხიც იღუპება.

კარგი იქნება, ყველა ამას ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს და რამე წამალი დასდოს სოფელს და მით დაიხსნას ხალხი გაჭირვებისაგან.

გულის შემატკივარი

კავკასია

ბაქოდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ «კავკაზს»: 12 სეკდემბერს, საღამოს, ბიბი-ეიბათში ცეცხლი ჩაქრა. ამ დროს ოგულევიჩის ნავთის შადრევნის გვერდით, რომელიც დღეში 800,000 ფუთს ნავთს ისროდა, მეორე შადრევანმა ამოხეთქა, რომელიც იმდონსავე ნავთს იძლეოდა. ნობელის ნავთის აუზებში ცეცხლი ნელდებოდა. ოგულევიჩის მეორე შადრევნის ნავთის ფრქვეული ნობელის სწეობს მისწვდა და თან ცეცხლი გადმოჰყვა, რომელმაც მთლად შადრევანი აჰპრიალა. აქედგანაც ცეცხლი გადასწვდა ოგულევიჩის პირველ შადრევანსაც და სხვა აუზებსაც. დღეს 13 სეკდემბერს იწვის ოგულევიჩის ორივე შადრევანი, რომელიც 2 მილიონ ფუთ ნავთამდე იძლეოდა დღეში ამათ გარდა შიბაევის ორს ნავთის შადრევნებსაც მოედო ცეცხლი. ამ ჟამად ძალიან მძვინვარებს ცეცხლი. ამის მსგავსი არა ნახულა რა აქამომდე. სრულიად დაიწვა სამრეწველო მოწყობილება, აუზები და შენობები როტშილდისა, ნობელისა და შიბაევისა. ოთხს შადრევანსა და ბიბი-ეიბათის სამრეწველოებს ეხლაც უკიდია ცეცხლი.

რუსეთი

— მთავრობას წარედგინა პროექტი ახალის რკინის გზისა, რომელმაც უნდა შეაერთოს დასავლეთი ევროპა და მახლობელი აღმოსავლეთი სპარსეთის საზღვრებამდე. რკინის გზა წამოვა ვარშავიდან, მოვა კერჩამდე, მერე ივლის შავის ზღვის პირად, ჩავა ტფილისში და იქიდან თეირანისკენ წავა.

— პეტერბურგის ქალაქის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა: შემოსავალი—მამულების დაფასებით 4,663,000 ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადისა—3,017,000, ქალაქის მამულებისა—1,653,000, ქალაქის მოწყობილ საქმეთაგან 9,809,000, განსაკუთრებულ წყაროთაგან 9,650,000 და სხვ. ხარჯებ შორის მოხსენებულია, რომ სწავლა-განათლებისათვის უნდა დაიხარჯოს 1,750,000.

— პეტერბურგში წელს შესდგება 27 დეკემბრიდან კრება ელექტრო-ტეხნიკის საქმის მოღვაწეთა. კრება გასტანს მომავალ იანვრის 5-მდე.

— 1 ნოემბრიდან პეტერბურგში არსდება სარკინის-გზო კურსები, რომელსაც აზრად ექნება მოამზადოს მოხელენი რკინის გზის სამსახურისათვის. სწავლება კურსებზედ გასტანს 12 თვეს, სწავლის ფასი იქნება 150 მან., შემსვლელი 16 წლისაზედ ნაკლები არ უნდა იყოს და საქალაქო სასწავლებელი უნდა ჰქონდეს გათავებული.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო ფიქრობს შემოიღოს შავის ზღვის გუბერნიაში კანონი ტყეთა დაცვისა, რათა ტყეები არ იკაფებოდეს და არა ნადგურდებოდეს.

— როგორც ამტკიცებენ, ევროპის რუსეთიდან ნაკლებად ეტანება წელს ხალხი სხვაგან გადასახლებას. ამის მიზეზია წლევანდელი კარგი მოსავალი და აგრეთვე ისიცა, რომ მუშა ძვირად ფასობსო.

— ვიღაც ინგლისელი ჰყიდულობს თურმე ძვირ-ფასად ყოველ-გვარ სურათს, რომელზედაც დახატულია ებრაელი, ან მისი ყოფა-ცხოვრება.

— ბელოროსია ძალიან სცდილობს, რომ უნივერსიტეტი დაიარსოს. ძველი შეწირულება აქვს 120,000 მ. უნდათ მემამულეებმა გაიწერონ 10 კაპ. დესეტინაზე, რაც შეადგენს მილიონ-ნახევარს. ამ საგანზედ კარგად შედგენილი მოხსენება წაუკითხავს სტრელცოვს ღვინსკში.

— 10 სემინარიელმა ითხოვა წელს მიეღოთ სამხედრო სამკურნალო აკადემიაში. ათივეს უარი უთხრეს.

— კაპიტანი იაგელო აპირობს გამოსცეს რუსულ-სპარსული ლექსიკონი.

— რადგან საუკეთესო პურის თესლის შეძენა ეძნელებათ გლეხ-კაცებს სიღარიბის გამო, მიწად მოქმედების სამინისტროს უნდა დაურიგოს უფასოდ გლეხობას საუკეთესო თესლი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ პირველ მოსავლიდანვე დაუბრუნონ ფუთზედ ფუთი.

უცხოეთი

ინგლისი. როგორც ვუწყით, სანამ ჩემბერლენი სამსახურს დაანებებდა თავსა, ბალფურთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული. ახალშენთა მინისტრს აგვისტოს 27-ს ე. ი. სანამ მინისტრთა ბჭობა მოხდებოდა, მიუმართავს წერილით ბალფურისათვის.

როდესაცაო—სწერს ჩემბერლენი—მე და თქვენ წინადადება შევიტანეთ, რომ გამოგვეკვლია ინგლისის სავაჭრო მდგომარეობის საკითხი, აზრადაც არ მოგვსვლია დასობრივი ხასიათი მიგვეცა ჩვენის წინადადებისათვის. იმ იმედით ალვძარით ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი როგორც ჩვენის ერისა, ისე მთელის იმპერიისათვის, რომ გამოკვლევის დასკვნას გაითვალისწინებდა ხალხის უმრავლესობა და მომავალ საზოგადო არჩევნების დროს თავის მოქმედებას იმას შეუთანხმებდა. კარნა ლიბერალთა დასის წინამძღოლნი არ მიემხრნენ ჩვენს მოსაზრებას: იმ თავითვე უარ-ჰყვეს ის აზრი, რომ 1846 წელს შემუშავებული სისტემა რამდენადმე მაინც უნდა შეცვლილიყო 1903 წ., და ამიტომ მთელი ძალ-ღონე იმას მოანდომეს, რომ არავის გაებედნა ხელის შეხება არსებულ საფინანსო პოლიტიკისათვის. იმის ნებასაც-კი არავის აძლევდნენ, რომ გამოერკვიათ,—საჭიროა, თუ არა საფინანსო პოლიტიკაში რაიმე ცვლილების მოხდენა. ეს კიდევ არაფერი; თვით უნიონისტთა დასში განხეთქილება მოხდა ამ საკითხის გამო, და ამ გარემოებამ-კი მეტად შეაფერხა საქმე: ჩვენ დავიქსაქსენით და მოპირდაპირეებმაკი წელი მოიმაგრეს. იგინი უმთავრესად წინაალუდგნენ სულად-სანოვაგეზე ბაჟის დადებას და, საზოგადოდ, არსებულ საბაჟო სისტემის შეცვლას, რაიცა საურთიერთო სარგებლობას მისცემდა და მჭიდროდ დააკავშირებდა ინგლისსა და მისს ახალშენებს. იგინი სარგებლობდნენ სრულიად განურჩევლად ძველის ლოზუნგით პურის სიძვირის შესახებ, და კიდევაც მოახერხეს თავის აზრის გაყვანა, რომელიც დიდად და დიდად საზარალოა იმპერიისათვის: საზოგადოება კარგადა ჰგრძნობს, თუ რა ხიფათი მოგველის იმ სახელმწიფოთა მეტოქეობისაგან, რომელთაც შეგვიკრეს თავისი ბაზარი და იმავ დროს თავისუფლად სარგებლობენ ჩვენის ბაზრებითა თავიანთ საქონლის გასასაღებლად; მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუგნია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალშენთა ბაზრებს ჩვენის ნაწარმოებისათვის და რაოდენად საშიშოა მათი დაკარგვა, თუ შეღავათიანი ტარიფი არ დავაწესეთ. მაგრამ ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია რაიმე შეთანხმება საურთიერთო სატარიფო შეღავათის შესახებ, რაც უნდა მცირე ბაჟი დავადოთ სულად-სანოვაგეს,—თუმცა იმ აზრის მომხრენიც ბლომად არიან, რომ უცხო ქვეყნებთან უფრო თავისუფალი ალებ-მიცემობა გაიჩინოთ ხელშეკრულობათა და სხვა ამგვარ ღონისძიებათა შემწეობით. თუ თქვენც, როგორცა ვგონებ, ამავ აზრისა ხართ. სრული უფლება გაქვთ ეს შეხედულება საფუძვლად დაუდოთ თქვენის მთავრობის პოლიტიკას; მაგრამ ამას უეჭველად მოჰყვება ცოტაოდენი ცვლილება თქვენს კაბინეტში. როგორც ახალშენთა მინისტრი, მე ვიყავ წარმომადგენელი ინგლისისა და მის ახალშენთა მჭიდროდ შეკავშირების პოლიტიკისა, რადგან ეს აუცილებლად საჭიროა იმპერიის ინტერესებისათვის, და დღეს შესაძლოდ მიმაჩნია,—იქნებ ხვალ-კი შეუძლებლად—ასეთ კავშირის განმტკიცება. მაშასადამე, სულ სხვა მდგომარეობაში ვიმყოფები, ვიდრე ჩემნი ამხანაგნი, და გაკიცხვის ღირსი ვიქნები, რომ სამინისტროში დავრჩე და ჩემი პროგრამიდან ამოვშალო ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მუხლი. რადგან თქვენის მთავრობისა და საზოგადოდ მისის პოლიტიკის ერთგული მომხრე ვარ, ვგონებ, უმჯობესი იქნება სამინისტროდან გავიდე და ისე განვაგრძო ჩემი საქმე. იმედი მაქვს, როცა სრულიად დამოუკიდებელი ვიქნები, ჩემს აზრებსა და საბუთებს მეტის ნდობით მოეპყრობიან, ვიდრე ეხლა, როცა დასის მეთაურად ვითვლები. ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ გადავსცე მათს უდიდებულესობას სამსახურიდან გასვლის ქაღალდი და შევუდგე იმ აზრთა გამოკვლევა გამოაშკარავებას, რომელთა განხორციელება აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ინგლისის წარმატება-გაძლიერებისათვის".

ამის პასუხად ბალფურმა მისწერა:

„ძვირფასო ჩემბერლენო! მე სრულიად გეთანხმებოდით, რომ დადგა დრო ჩვენის საფინანსო სისტემის შეცვლისა; ამიტომ საკვირვლად მიმაჩნია, რომ თავს ანებებთ სამინისტროს სხვა მინისტრებთან ერთად, რომელნიც არც თქვენა და არც მე არ გვეთანხმებოდნენ ამ საკითხის შესახებ. თქვენთან ერთად მეცა მრწამს, რომ მტკიცე კავშირი ინგლისსა და მის ახალშენთა შორის დიდს წარმატებას მისცემდა იმპერიის ალებ-მიცემობას. თუ ჩვენს შორის რაიმე უთანხმოება არსებობს, ეს მხოლოდ იმ საკითხის გამო, რამდენად შესაძლოა განხორციელება თქვენის წინადადებისა, რომელსაც უნდა მოჰყვეს შეღავათიანი ტარიფი ახალშენთა ნაწარმოებთათვის და, მაშასადამე, სულად-სანოვაგეზე ბაჟის დაწესება. დიდად ვსწუხვარ, რომ ამის გამო თქვენ გიძნელდებათ სამინისტროში დარჩენა, მაგრამ ვერა ვბედავ წინაალვუდგე თქვენს განზრახვას, რადგან ეს თქვენი კერძო, პირადი საქმეა. თუ თქვენა ჰფიქრობთ, რომ სამინისტროს გარეშე ყოფნის დროს მეტ სარგებლობას მოუტანთ იმპერიის გაერთიანების საქმეს, უფლება არა მაქვს კრიტიკულად შევეხო თქვენს გარდაწყვეტილებას: მთავრობისათვის დიდი დასაკლისი იქნება, მაგრამ, შეიძლება, საქმისთვის უფრო მეტი სარგებლობა მოიტანოს. ბალფური".

მაკედონია. ადრიანოპოლის ვილაიეტში ბერძენ მკვიდრთ ოსმალნი მეგობრულად უყურებენ, მაგრამ ხან-და-ხან თურმე ვერც მეგობრობა ჰშველით მკვიდრთა: სოფ. ეკვარიონის მცხოვრებ ბერძნებს წინადადება მისცეს,—თავი გაანებეთ სახლ-კარსა და მოშორდით მაგ არემარეს, რადგან ეგ სოფელი, ვითარცა არა-საიმედო, უნდა გადავწვათო. მაგრამ ოსმალებმა თავი ვეღარ შეიკავეს და, სანამ სოფლელნი გახიზნვას მოასწრებდნენ, დაუშინეს სოფელს ყუმბარა და თოფი; ხუთმეტი კაცი მოჰკლეს. ბერძნებმა საჩივარი განაცხადეს, მაგრამ ხმაც არავინ გასცა.

ნარევი და ნაკვესი

გამოცანები.

(„ვინცა ამას გამოიცნობს—ერთი გუდა ლახუსტაკი".)

I.

ვისია გამარჯვება?

იყვნენ ორნი ძმანი—უფროსი და უმცროსი, პატარაობითვე დაობლებულნი. უდედ-მამონი.

უფროსი ერთმა დიამბეგმა თუ „ჰოპოშნიკმა" აიყვანა, რუსული «მაია-თვაია» და ანა-ბანა ასწავლა და ქაღალდებს მოუსვა. ნელ-ნელა, კამაც-კამაც, ეს ახალგაზდა მებატონე „ჩიხოვნიკად" იქცა, კაკარდა დაიკრა და თავი მაღლა აიწია. გავიდა დრო, «პროტოკოლ-ოპისის» შედგენა ისწავლა, ხელი გაიცნო და «კაირათობით» ჯიბეც მოიმძიმა.

უმცროსი ძმა შინ დარჩა „მებატონედ". სოფლის მამული და ისიც იმ დროს, როცა ამ გამოცანის ნასკვი ჯერ არ გამოკრულიყო, სწორედ რომ არაფერს წარმოადგენდა. მებატონეს უზრუნველი ჰქონდა პური, ლობიო, სიმინდი, ცერცვი და სტაფილო. ჩვენს მებატონეს ღვინოც-კი არა ჰქონდა, რომ ზედაშედ დაეყენებინა და დიდებულ წინაპართა შესანდობარი წელიწადში ერთხელ მაინც მიერთმია. ამასთანავე მამული საზიარო იყო და მძლავრი სახლი-კაცები ობოლს სჩაგრავდნენ. როდესაც ისინი რაშებს შემოასხდებოდნენ და თქარა-თქურით მინდვრად წავიდოდნენ მოსავლის დასათვალიერებლად და გასანაწილებლად, ჩვენს უძლურ მებატონეს ჯორიც კი არა ჰყავდა, რომ უკან წასჩანჩალებოდა. საცოდავი ისე დაჩაგრული იყო, რომ ლუკმა პურისთვის დამის მეხრედ დადიოდა და ზამთრობით დაფლეთილ მაზარაში ძაგძაგებდა. წელიწადი ისე გაივლიდა, რომ თბილ საჭმელს სასუნებლადაც არ მიუახლოვდებოდა და სასიამოვნოდ გაუნულ ჩახეს არ დაუთრთქლავდა.

უფროს ძმას, არ ვიცი, შეეცოდა უმცროსი, სიყვარულმა მოუარა, თუ ჭკვად ქეეშმა ითაკილა დვიძლის ძმის დაძაბუნება—უფრო გულთამხილავმა უწყის,—ხოლო უფროსმა უმცროსს დახმარების ხელი გაუწოდა, დამჩაგვრელები მოაშორა, მამული შემოუფარგლა, თავისი წილიც ჩააბარა, საქონელი უყიდა მოჯამაგირეები დაუყენა, ტანთ ჩააცვა და ბოლოს საბატონო ეტლიც კი გაუჩინა. შემდეგ ისეთი საქმეებიც გამოუძებნა და ჩააჩქა, რომ უმცროსმაც ფული იშოვა, ცოლი შეირთო და დღეს კაი ოჯახიშვილად არის ცნობილი თავის მაზრაში და ქალაქშიაც.

— ოჰ, ძმაო, რითი უნდა გადავიხადო შენი ამაგი!?.. შენ ძმა კი არა, მამა ხარ ჩემი... მამა არ უზამს მაგოდნობას თავის შვილს... ძმაო, საყვარელო ძმაო, შენი სურვილი კანონია ჩემთვის... ჩვენს ძმობას ვერა შეარყევს-რა... ჩემი გული მარად შენი მორჩილი იქნება... ძმაო და ძმაო—აი რასა სწერდა თლორთ-ჩლორთ ასოებით უმცროსი ძმა უფროსს და ამასვე მარად ეუბნებოდა პირადად...

დრონი იცვალნენ.

უმცროსი ძმა ყოვლად კმაყოფილი იყო წუთი-სოფლისა. ხოლო ერთში დააკლო ბედმა გული: შვილი არ მისცა.

ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, დასაღონებელი და დასამარებელია...

ვის უნდა დარჩეს უშვილო ცოლ-ქმრის ავლა-დიდება? ცოლი ცალკე ჰფიქრობს, ქმარი ცალკე. ერთი სამშობლოსაკენ იწევს, მეორე—თავის გვარეულობისაკენ. რომელი გაიმარჯვებს?

აი გამოცანა!

კანონს ვერ წაუხვალ. მამა-პაპეული ქონება კანონიერ მემკვიდრეს ეკუთვნის. მაგრამ ეხლანდელს დროში ათასი ხრიკები მოიგონეს სამართლის მოსატყუებლად და უსამართლობის გასამარჯვებლად. ცოლი შეუჩუჩულიანებიათ, შენი ნათესავი იშვილეთ და თქვენი ქონება იმას დარჩებაო. ქმარს მოამაგე ძმისა ერიდება—იმის შვილებს როგორ ჩამოვართვა მამა-პაპეული მამულიო.

რა გზით შეიძლება ცოლ-ქმრის მორიგება, რომ „არც წვადი დაიწვას და არც შამფური"?

ეს მეორე გამოცანა!

უფროსი ძმა, ამ ამბის გამგონი დაღვრემილი შესცქერის უმცროსს, ხმას არ იღებს და ჰფიქრობს, ხომ აირია ოჯახი, თუ უცხო ჩამოგვეთესლაო! მაინც კიდევ იმედს არა ჰკარგავს და ჰგონია, ჩემი ძმა ჭკუაზე მოვაო. სხვებს კი, ნაცნობსა და ნათესავებს მაინც გამოცანად მაჩნიათ:

მადლი გაიმარჯვებს თუ უმადურობა?..

ყა—ვა.

II.

ვინაა?

ერთს სკოლას ახირებული ზედამხედველი ჰყავდა. დილით, კლასში რომ შევიდოდა, სასწავლო ნივთების მაგიერ, შეიტანდა დოქს, კოთხოს, პარკებსა და საინებს. ლოცვას რომ იტყოდა ბავშვი, პედაგოგი შემდეგ გაკვეთილს აძლევდა შეგირდებს:

— ივანე!—ეტყოდა ერთს შეგირდს,—ხედავ ამ დოქს?

— კი ბატონო, რაგა არ ვხედავ!

— ჰო და, ამ დოქით ღვინო უნდა მეიტანო. უთხარ მამა-შენს—მიშოვნოს, თუ კაცი ხარ-თქვა, კარგს არ გჩიჩი, რავაიც იყოს-თქვა!

— კი ბატონო!

— შენ, პეტრია ბიჭო, ერთი კოთხო ფქვილი მეიტა!

— კი, შენი ჭირიმე, გაახლებ!

— სერგია! შენ ერთი-ორი ყველი მითხუე. უთხარ დედა-შენს—მაგიერ პატივს კი გცემ სცხა-თქვა!

— კი, ბატონო!

— ყური მიგდეთ, ბაღნებო!.. კვერცხი ვის გაქვთ შინ?

— ია, ია, ია, ია,—ატყდებოდა ბავშვებში ყაყანი.

დასასრულ აირეოდნენ და გარბოდნენ შინისკენ, ზოგი დოქით ხელში, ზოგი პარკით, ზოგი საინით და ზოგიც იმ იმედით, რომ «უჩიტელს» რითიმე მოიმადლიერებდნენ.

კარგა ხანს ასე მიდიოდა სწავლის საქმე ამ სამეცნიერო ტაძარში. «უჩიტელი» ამასთანავე მფარველობასაც უწევდა საზოგადოებას და უფრო საზოგადო ფულს, რომელსაც თავის «სერთუკის» ჯიბეში ისე მაგრა ინახავდა, რომ თვალს ვეღარავინ მოჰკრავდა. ხოლო მფარველობა და მზრუნველობა ამით არ თავდებოდა: «უჩიტელს» საჭიროდ მიაჩნდა სხვის წერილების გახსნა-ჩხრეკა და, თუ საამურ ამბავს მიაგნებდა, წერილს ისაკუთრებდა. ასეთმა ღირსეულმა «პედაგოგმა» «პოჩეშენია» მიიღო, რათა უკეთეს ადგილს განაგრძოს თვისი საზოგადო მოღვაწეობა.

ას-კანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ერთს კურთხეულ სოფელში სამაგალითო კეთილ-განწყობილება სუფევს „მოდავეთა“ შორის,—„ხელი ხელსა ჰბანსო“—ბრძნული ანდაზაა. ყველანი და ყოველისფერში მუდამ ერთის აზრისანი არიან. ცალკ-ცალკე რომ ჰკითხოთ:

— ბატონო ვასილ, თქვენ რას ჰფიქრობთ სკოლის შესახებ?

— მე... მეც იმასა ვფიქრობ, რასაც ბ-ნი სოლომონი.

— თქვენ, ბატონო დავით?

— მეც სოლომონს ვეთანხები.

— თქვენ, ბატონო მათე?

— მეც სოლომონის აზრისა ვარ.

—თვით სოლომონი რა აზრისაა?

— მას ჰკითხეთ, ბატონო, აბა რა ვიცი! არ გაგონდებათ ჩიჩიკოვის სიტყვები: „მეც იმასა ვფიქრობ, რასაც ჩემი უმახლობელესი უფროსი“?

იგივე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 სეკდემბერი

ლონდონი. ბალფური წერილით უზიარებს კენტერბერიის ეპისკოპოზს თავის გულის წყრომას იმ თავ-ზარ დასაცემ გარემოებათა გამო, რომელიც სუფევს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. რუსეთ-ავსტრიის მიერ შემუშავებული პროექტი განზრახულ რეფორმებისა პორტას რომ განეხორციელებინა და იმ ხალხთაც მიეღოთ, რომელთაც იგი შეეხება, მაშინ ქვეყნიერობას ასცდებოდა ის მხეცური მოქმედება, რასაც დღემდე შეჰყურებს. პორტა, ჩვეულებისამებრ, ყოველსავე აფერხებს და აგვიანებს. რევოლიუციონერებსაც დიდი დანაშაული მიუძღვით, რადგან განზრახ დაიწყეს ძალ-მომრეობა, რომ საწინააღმდეგო ძალ-მომრეობა, გამოეწვია. ამ რთულ საქმის სასურველად გადაწყვეტის მტკიცე იმედს იძლევა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის საერთო მოქმედება. მხოლოდ ამ სახელმწიფოებს აქვთ ძალა კეთილ-გონიერების გზაზე დააყენონ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის მებრძოლნი. ამ გარემოებაში ორს სახელმწიფოს უფრო შეუძლიან თავისი აზრი განახორციელოს, ვიდრე სამსა და სხვათა მონაწილეობა უფრო შეასუსტებდა ამ ძალას.

სტამბოლი. ხონთქარმა ირადე გამოსცა, სათათბირო კომისია დაარსდეს მაკედონიის საქმეთა გამო ბულგართა, სერბთა, ოსმალ-ბერძენთა და ვალახთა მონაწილეობით. რუსეთის ელჩმა ნოტა გაუგზავნა პორტას და მედგრად ჰკიცხავს ზოგიერთ ოსმალთა რაზმების მოქმედებას,—რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პორტას ჩააბარეს ნოტა, რომელშიაც მოხსენებულია მრავალი უმართებულო საქციელი ოსმალთა ჯარისა და თხოულობენ რეფორმების შემოღებას. ახალ რეფორმებზე არაფერია ნათქვამი, ხოლო ემუქრებიან პორტას, შესაძლოა რეფორმების პროგრამის გაფართოვება იქმნას საჭიროდ ცნობილიო.

ბერლინი. ერთ სახელმწიფოს წარმომადგენელს უთქვამს, ომს მარტო შემოდგომა-ზამთარი კი არ შეაფერხებს, არამედ ხელმწიფე იმპერატორის და ავსტრიის იმპერატორის ერთმანერთის ნახვაც, რომელიც მალე მოხდება, ხელს შეუშლის ოსმალეთისა და ბულგარეთის შეტაკებისაო.

პარიჟი. საგარეო საქმეთა მინისტრი იუწყება, მართალი არ არის მითქმა-მოთქმა, ვითომც სახელმწიფოებს მოლაპარაკება აქვთ მაროკკოს შესახებაო. არც ის არის მართალი, ვითომც სახელმწიფოების კაბინეტები დაჰკითხებოდნენ ერთმანეთს იმის გამო, რომ საფრანგეთი მაროკკოს პროტექტორატობას აპირობსო.

ბელგრადი. ხონთქარმა ხელი მოაწერა ირადეს, რომლითაც სერბიელთაც სათანადო ადგილი უნდა მიენიჭოს მაკედონიის ხალხთა შორის.

ლონდონი. Daily Mail-ს შეუტყვია უტყუარ წყაროდამ, ისპანია დათანხმებულა და იტალიასაც სცოდნია, რომ საფრანგეთსა და ინგლისს მოლაპარაკება ჰქონიათ, საფრანგეთმა მაროკკოს პროტექტორობა მიიღოსო. ზღვის ნაპირი ნეიტრალად დარჩება. სამაგიეროდ ინგლისს უპირატესობა მიეცემა ზღვის ნაპირს ეგვიპტეში.

სოფია. ადრიანოპოლის ვალიმ ბრძანება მიიღო, მოელაპარაკე ბულგარეთის მთავრობის მოხელეებს, რომ მოსაზღვრე ადგილებიდგან ლტოლვილნი ბულგარელნი კვალად დაბრუნდნენ და დასახლდნენ თავის მიწა-წყალზეო.--დაბეჯითებით ამბობენ, პორტამ შემდეგი ღონისძიება მიიღო ბულგარიის სურვილისამებრ: რეფორმათა კომისიაში რიცხვი ბულგარიის წევრთა მცირე არ უნდა იყოს და ეს წევრნი ექსარხოსის მიერ უნდა ინიშნებოდნენ, ერთი წევრი მუდმივ მდივნად დაინიშნოს ილდიზ-კიოსკში მაკედონიის საქმეთა მოსახსენებლად; ახალის ჯარის მოკრება შეჩერდეს და ლტოლვილნი კვალად თავის მიწა-წყალზე დასახლებულ იქმნან.

ლონდონი. წერილი, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტმა კენტერბერიის ეპისკოპოზს გაუგზავნა, პასუხია ეპისკოპოზის წერილისა, რომელშიაც მზრუნველობას ავალებდა, ღონისძიება მიიღეთ, რომ მაკედონიის ხალხს ტანჯვა შეუმცირდესო.

ლიბავა. საგანგებო მატარებლით მობრძანდა ხელმწიფე მემკვიდრე. მატარებელი გაჩერდა ზღვის პირას, სადაც უცდიდა გემი «ზარნიცა». დილის 10 საათსა და 45 წ. «ზარნიცაა» კოპენჰაგენისაკენ წავიდა.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში სასტუმროდ მოსულ ესკადრის ნაწილი, ვიცე-ადმირალის სტარკის მეთაურობით, პორტ-არტურს წავიდა, სადაც დიდი აღლუმი იქმნება.

მოსკოვი. მომავალ საერო მაზრის კრებებს მოხსენება წარედგინებათ კომისიის ამომრჩეველთა უფლების კანონის გადასინჯვის შესახებ. კომისიის აზრით ერობის წარმომადგენლობაში წოდებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. საერობო ცენზი უნდა შეადგენდეს 15,000. დისციპლინალური სასჯელი გლეხთა წარმომადგენელ ხმოსნებს მხოლოდ მაზრის კრებამ უნდა განუწესოსო. საგუბერნიო ხმოსნებს დღის სახარჯო ფული უნდა ეძლიოსო.

სტამბოლი. კომისიამ, რომელიც დანიშნულია ყირს-ქილისეს სანჯაყში მომხდარ უწესოებათა გამოსაძიებლად, გამოარკვია, რომ ევკარიონს, კადიკსა და ევეკლერს 36 მკვლელობა მომხდარა. ევკარიონში ეკკლესიას შეაწერეს ჯარიმა 150 ლირი და სახლის გადაწვის გამო 5—15 ლირი. ყირხ-ქილისესა და სხვა სანჯაყებიდან მრავალი სოფლელი კვალად გარდაიხვეწა ბულგარიას.

14 სეკდემბერი.

სალონიკი. რკინის გზის გამგეობამ მიიღო ბრძანება მოამზადოს ვაგონები 16 ბატალიონის გადასაყვანათ დემირხისარში, სადაც მეამბოხენი მეტს ძალასა და გაბედაობას იჩენენ.—თავმჯდომარედ კომისიისა ინიშნება მთავარი ინსპექტორი ხილმი-ფაშა, კომისიაში იქმნებიან წევრნი მონასტირის და უსკიუბის ვილაეტების საადმინისტრაციო საბჭოსი. ეს კომისია არ აკმაყოფილებს ბულგართა სურვილებსა.—საქმეთა მდგომარეობა ვერისოვიჩაში უარესობაშია, რადგანაც იქ მყოფმა შვიდმა ბატალიონმა რედიფებისამ მანიფესტაცია გამოაცხადეს იმ ხმების გამო, ვითომ ბევრნი მათგანი იგზავნებიან მცირე აზიაში. ისინი იმუქრებიან, რომ თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა და აღსრულებაში მოვიდაო, შურს ვიძიებთ ქრისტიანებზე და დავეცემით მათო. ამ ჯარების იარაღის აყრა დ. დათხოვნა უსათუოდ საჭირო გამხდარა. ალბანელთ კვლავ დაუწყვიათ დევნა ბევრ ქრისტიან ჟანდარმებისა. ზოგიერთნი მათგანი დაჭრილნი არიან.

ბელგრადი. ნიშის ოფიცერთა საქმის გარჩევის დროს კაპიტანმა ნოვაკოვიჩმა წარმოსთქვა დასაცველი სიტყვა, რომელიც რამდენიმე საათი გაგრძელდა, რის შემდეგაც დასრულდა სასამართლოში ლაპარაკი, განაჩენის გამოცხადება გადიდო მეორე კვირემდინ.

15 სეკდემბერი

მოსკოვი. დაარსდა კურსები კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებისა კომერციულ სასწავლებელთა ოსტატების მოსამზადებლად.

ჰააგა. ვენესუელასა და დიდ სახელმწიფოთა შორის ატეხილ დავის გადასაწყვეტად მოწვეულ სამედიატორო სასამართლოში ხელმწიფე იმპერატორმა პროფესორი მარტენსი დანიშნა მესამე მსაჯულად.

ბელგრადი. ბელგრადის გაზეთებში დაბეჭდილია წერილები, რომელშიაც უჩივიან რუსეთის მწერლობას,—ავტრიისა და გერმანიის გაზეთთა ზედ გავლენის ქვეშაა და ავრცელებს სრულიად გადამახინჯებულს ცნობებს სერბიის საქმეთა მდგომარეობისა, განსაკუთრებით სერბიის სამეფო სახლობის შესახებაო. ბელგრადის გაზეთობა ჰგონებს,—იმ დროს, როცა სერბიას ყოველ მხრით უსამართლოდ ჰკილავს და ჰქირდავს სლავიანთა მოძულე გაზეთობა, რუსეთის გაზეთობას მაინც უკეთ უნდა შეეტყო სინამდვილე და არ უნდა შეელახნა სლავიანთა ძმობა ახირებული ცნობებით, რომელნიც შეურაცხჰყოფს სერბიის ერის უწმინდეს გრძნობათაო.

მოსკოვი. მოსკოვის სხვა-და-სხვა ადგილებში სავაჭრო კურსები დაარსდა. 2,000 მეტი მსმენელი ჩაეწერა.

ზენკოვი. საერო კრებამ დაადგინა ისესხოს გუბერნიის ერობის საზღვევო თანხიდგან 25,000 მანათი და დაურიგოს სხვა-და-სხვა საზოგადოებას სკოლების ასაგებად.

ასხაბადი. ტაშკენდიდან მთავარი გამგე იმიერ კასპიის მხარისა მისდამი რწმუნებულ ოლქის დასათვალიერებლად გაემგზავრა. ავღანისტანიდგან მოსულნი სპარსნი ამბობენ,—ავღანისტანში ხოლერა მძვინვარებსო. სანიტართა კომისიის კრებაზედ ასხაბადში გადაწყდა,—ვიშუამდგომლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე ავღანისტანი ხოლერის მხრით არა კეთილ საიმედოდ იქმნას ცნობილიო.

სმირნა. 12 სეკდემბერს, რომ კაცი გადაიცვალა თურმე შავის ჭირითა ყოფილიყო ავათ.

რიო-დე-ჟანეირო. გასულ კვირის განმავლობაში ათ კაცამდე მოკვდა შავის ჭირით.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა მიუწერა პრეფექტებს,—დაამშვიდეთ მცხოვრებნი იმ ხმების შესახებ, ვითომც ომიანობა აუცილებლად მოხდებაო; ეს ხმები დაჰქარეს სავაჭრო აგენტებმა იმ აზრით, რომ დარის ფასად შეიძინონ სხვა-და-სხვა საქონელიო. მთავრობის განკარგულება ურჩევს ხალხსა ტყუილ უბრალოდ ნუ გაასაღებთ საქონელსაო.—სტამბოლის კარზე მყოფი ინგლისის ელჩის მიერ წარდგენილმა წინადადებამ მაკედონელთა საქმის შესახებ,—რუსეთ-ავსტრიის რეფორმათა პროექტი სასურველ რეფორმათა minimum-იაო,—დაამედა მცხოვრებნი, რომ უფრო ვრცელი რეფორმები იქმნება შემოღებული.

სტამბოლი. მაკედონიის მოძრაობის მეთაურებმა გადასწყვიტეს უფრო ხშირად მიმართონ ხოლმე ანარქისტთა ღონის-ძიებას უცხოელთა და მათ ქონებათა წინააღმდეგ.

კარლსბადი. დღეს ლორდ მილნერი ლონდონს წავიდა.

სოფია. რადგან განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთისა და ბულგარიის მთავრობათა შორის, სტამბოლში მყოფი აგენტი ვეშოვი ვენას გადაიყვანეს, და მის მაგივრად დანიშნეს ნაჩევიჩი. მთავარი გადავიდა საზაფხულო სასახლეში, სამოკოვის მახლობლად.

პეტერბურგის ბირჟა 9 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,20
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443 წვ. გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$336^3/_4$ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$287^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$92^1/_2$ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9400 გაყ.
აქციები. „ „ „	465 წვ. გაყ.
„კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	385
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადებანი

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—18)

ქუთაისში
ს. მ. გ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საეკკლესიო მუზეუმი
(სიონის ტაძრის ეზოში)
დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

გამოვიდა და ისყიდება
კბილები
და მათი მოვლა-შენახვა
სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.
ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—13)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი
სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.
წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომოურ.ისა ფასი 5 კაპ.
2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი
(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)
1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.
1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.
კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი
მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)
დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან,3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

საწყობი ქაღალდის
მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვის ამხანაგობის ნოვგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.
ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.
საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი ფაბრიკის ფასად.
ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—23)

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძის,
რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემინარიის სახლებში;
იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.
სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.
ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ვ. ყიფიანი, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.